KA030122052705518

**№ 01-6246/ს** **25 / დეკემბერი / 2018 წ.**

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

როგორც მოგეხსენებათ, ჯანმრთელობის დაცვისა და იურიდიული დეპარტამენტების წარმოებაშია, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 20 დეკემბრის N04/68611 წერილი, რომელიც შეეხება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ქსელში რეორგანიზაციის პროცესს და ამ პროცესში სამედიცინო საქმიანობის უფლების (ლიცენზია/ნებართავა) განხორციელების საკითხს.
გვინდა აღვნიშნოთ, რომ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" მიერ შესაძლო უნებართვო საქმიანობისა და შესაბამისად, მის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის, აგრეთვე, კორპორაციის მიმართ დამატებითი პასუხისმგებლობის (საჯარიმო სანქცია) განსაზღვრის საკითხის შეფასება წარმოადგენს თემის ადმინისტრირების ორგანოს კომპეტენციას. ამასთანავე, გიგზავნით ჩვენს მოსაზრებას წერილში დასმულს საკითხთან დაკავშირებით:
როგორც წარმოდგენილი წერილიდან და საჯარო რეესტრის მონაცემებიდან ირკვევა, სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ქსელში რეორგანიზაციის გამო, განხორციელდა შემდეგი დაწესებულებების შერწყმა სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან": შპს „უნიმედი კახეთი" (7 სამედიცინო დაწესებულება/ბიზნეს ერთეული), შპს „ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი" და შპს „მიხეილ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო" (2018 წლის 1 ნოემბრიდან), ხოლო შპს „უნიმედი აჭარა" (8 სამედიცინო დაწესებულება/ბიზნეს ერთეული), შპს „უნიმედი სამცხე" (5 სამედიცინო დაწესებულება/ ბიზნეს ერთეული), სს „ქ. ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო" და სს „წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული და ონკოლოგიური ცენტრი" (2018 წლის 3 დეკემბრიდან).
„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 14[4] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/ საწარმოების სამართალმემკვიდრე.".
„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემები ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების (სახელის, გვარის), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფლის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ აისახება უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებით, შერწმის მონაცემების რეესტრში ასახვა, მით უფრო, როდესაც არ იცვლება არც მიწოდების ადგილი, არც სანებართვო საქმიანობის სახეები - ატარებდა მხოლოდ ორგანიზაციულ-ტექნიკური პროცესის სახეს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნათელა ხმალაძე